

ხატუნა ლორია*

თათია ბარაქაძე**

სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალაბა – დაინტერესებული პირის უფლების დაცვის ეფექტური საშუალება?

თანამედროვე დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში კვლავ გამოწვევად რჩება ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და მათი პრაქტიკაში განხორციელება, რაც სასამართლოს, როგორც კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს აქტიური ჩარევის გარეშე წარმოუდგენელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ჩარევა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოთა მეშვეობით მმართველობითი ღონისძიებების კანონიერების განხილვა ხდება და პირი ითხოვს მისი უფლებების დაცვას, სამართლიანობის აღდგენას. რამდენადაც დავა ორ არათანასწორ საფეხურზე მდგომ სუბიექტს შორის მიმდინარეობს და განონასწორება ჭეშმარიტი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ქვაკუთხედი, შესაბამისად, სტატიის ფარგლებში განხილულია, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლოს როლი, ინკვიზიციურობის პრინციპის გამოხატულება – სადავო საკითხის გადაწყვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისას. აგრეთვე განხილულია წინამდებარე მექანიზმის გამოყენების მართებულობა და ეფექტურობა. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული მექანიზმი შეფასებულია, მისი საკმარისობისა და ერთადერთ პირველად საშუალებად პირის კანონიერი ინტერესის, უფლების შემდგომში დაცვის აბსოლუტურად გამართლებული უზრუნველყოფის გარანტიის ნაწილში.

საკვანძო სიტყვები: ინკვიზიციურობა, შეჯიბრებითობა, ადმინისტრაციული სამართალწარმოება, დისკრეციული უფლებამოსილება, აქტის ბათილად ცნობა.

1. შესავალი

დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა ყველა სამართლებრივი სისტემისა თუ ინსტრუმენტის მიზანი და ამასთანავე, გამოწვევაა. შესაბამისად, სამართლის დარგების კვლევისას, როგორც წესი, არსებითი და უმრავლეს შემთხვევაში პირველი რიგის პრობლემაა, გამოინახოს გზები ადამიანის უფლებების დაცვის შემაფერხებელი გარემოებების აღმოსაფხვრელად და შეიქმნას ფუნდამენტური სამეცნიერო საფუძვლები და თეორიები რეალურ ცხოვრებაში ეფექტურად დაცვისა და განხორციელებისათვის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის უზენაესობასთან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს პირის უფლებებში ხელისუფლების ორგანოების ჩარევაზე სასამართლო კონტროლს. ჩვეულებრივ, ასეთი კონტროლი სასამართლო ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს, ვინაიდან, სწორედ სასამართლო კონ-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

ტროლი გულისხმობს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სათანადო პროცედურების დაცვის საუკეთესო გარანტიებს.¹

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლოს როლზე, ინკვიზიციურობის პრინციპის გამოხატულებაზე – სადავო საკითხის გადაწყვეტლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისას, აგრეთვე მნიშვნელოვანია წინამდებარე მექანიზმის „გამოყენების“ მართებულობა და ეფექტურობა, აგრეთვე მიმოვიხილოთ ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების ჭრილში, რათა შევაჯეროთ თუ რამდენადაა სამართლიანი და დროული განხილვის უფლება დაცული მსგავს შემთხვევებში, არის თუ არა ეფექტური კანონიერი ინტერესის დაცვის თვალსაზრისით ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული მექანიზმი და ასევე საკმარისი და ერთადერთი პირველადი საშუალება პირის კანონიერი ინტერესის, უფლების შემდგომში დაცვის აბსოლუტურად გამართლებული უზრუნველყოფის გარანტორი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ასევე, მნიშვნელოვანი იქნება იმის მიმოხილვა, თუ რა დასაბუთებას და არგუმენტაციებს იშველიებს სასამართლო და რამდენად საკმარისია მსგავსი დასაბუთება იმისთვის, რომ დაინტერესებული პირის საქმის განხილვამ სასამართლოდან კვლავ გადაინაცვლოს/დაბრუნდეს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში).

2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის – როგორც სამართლებრივი დაცვისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა კონტროლის დარგის მნიშვნელობა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსი

მოქალაქეთა ერთმანეთთან ურთიერთობის გარდა, სამართალი ასევე აწესრიგებს მათ ურთიერთობებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან. პირს აქვს უფლება მიიღოს გარკვეული ინფორმაცია, გამოხატოს საკუთარი აზრი, ჰქონდეს საშუალება დაიცვას საკუთარი უფლებები სასამართლოში და ა.შ.

ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანოების ვალდებულებაა შეამოწმონ ადმინისტრაციულ ორგანოთა მმართველობითი ფუნქციების კანონთან შესაბამისობა, რაც მათი სამართლებრივი დაცვის ფუნქციიდან გამომდინარეობს. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ნებისმიერი ფორმა ექვემდებარება სასამართლოს კონტროლს, შესაბამისად, მოქალაქეს აქვს უფლება, ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან უფლების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სარჩელით ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს.²

ადმინისტრაციული წარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპები და პროცედურული გარანტიები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით³ 2000 წლიდან არის განსაზღვრული, თუმცა 2017 წლიდან სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპმა კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპის მნიშვნელობა შეიძინა.⁴

¹ ტურავა პ., ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბილისი, 2020, 81.

² ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2002, 13.

³ საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 15/07/1999.

⁴ გვარამაძე თ., სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება და ევროპული სტანდარტები, სტატიათა კრებული, სამართლის ჟურნალი, #2, თბ., 2023, 236.

ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის დღევანდელი მდგომარეობით ჩამოყალიბებას წინ უძღოდა არაერთი რეფორმა, იმდენად, რამდენადაც მისი მნიშვნელობა წლების განმავლობაში სახელმწიფო საქმიანობის, განხორციელებული ქმედებების კონტროლის მნიშვნელოვან საფუძველად იქცა. სამართლებრივი დაცვის ფუნქციით აღჭურვამ დაავალდებულა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანოები შეამოწმონ მმართველობითი ფუნქციის კანონთან შესაბამისობა.⁵

სამართლებრივი დაცვის ფუნქციით განპირობებული ერთ-ერთი უფლების დაცვის მექანიზმი განმტკიცებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის⁶ (შემდგომში სასკ.) 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომელიც რეპრესიული უფლების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს და საშუალებას აძლევს სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებით ჩაერთოს პროცესში მყისიერი რეაგირებით, ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილია ორი ფაქტობრივი გარემოება, როდესაც სასამართლო იწყებს მსჯელობას საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 1) საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები გამოკვლეული არ არის, ან ნაწილობრივ გამოკვლეულია, 2) შეფასება საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს არ მისცემია, შესაბამისად, სასამართლოს შეხედულებით აღნიშნულ ნორმაზე დაფუძნებით სახეზე გვაქვს არასრულყოფილი წარმოება. გარდა ამისა, სახეზე უნდა გვქონდეს ბათილად ცნობისათვის მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

აღსანიშნავია, რომ სასკ-ის 32.4 ნაწილის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება თავისი ბუნებით ჰგავს სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება).⁷ ორივე შემთხვევაში, მხარის ინტერესია აქტის ან ახალი აქტის გამოცემის დავალება. თუმცა ამ უკანასკნელის საფუძველს წარმოადგენს მხარის სარჩელი სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე, სადაც მხარე ასაჩივრებს უარს აქტის გამოცემის თაობაზე ან სახეზე გვაქვს აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევა, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ მსჯელობს არსებითად საკითხის ირგვლივ და იღებს გადაწყვეტილებას აქტის გამოცემის დავალების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, მხოლოდ ამ ნაწილში. სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო უფრო მეტად შებოჭილია ადმინისტრაციული ორგანოს შინაარსობრივი უფლებამოსილებით და მსჯელობს მხოლოდ გამოცემაზე უარის თქმის კანონიერების შესახებ, ისე, რომ არ ერევა რა გადაწყვეტილებას მიიღებს აქტის გამოცემით ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ როცა 32.4 მუხლის საფუძველზე სასამართლო აფასებს უკვე გამოცემული აქტის კანონიერებას და შესაბამისად მის მიერ განვითარებული მსჯელობა და შეფასებები რაც თან უნდა ახლდეს აქტის ბათილად ცნობასა და ახალი აქტის გამოცემას, გარკვეულწილად მიმართულებას აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს რა საკითხების ირგვლივ უნდა იმსჯელოს დამატებით.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული ნორმის გამოყენება საკმაოდ დიდ სიფრთხილეს და დასაბუთების მაღალ სტანდარტს მოითხოვს, რამდენადაც მისი სწორად გამოყენება პირდაპირ უკავშირდება პირის სამართლიანი წარმოების კონსტიტუციურად გარანტირებულ უფლებას. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად მითითებული ნორმის შექმნით, უფლება

⁵ გვარამაძე თ., სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება და ევროპული სტანდარტები, სტატიათა კრებული, სამართლის ჟურნალი, #2, თბ., 2023, 13.

⁶ საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 15/07/1999.

⁷ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, იურისტების სამყარო, თბ., 2018, 255.

ე.ნ. კარგ მმართველობასა და სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე ძირითადი უფლების რანგში იქნა განმტკიცებული“.⁸ კარგი მმართველობა, როგორც ქვეყნის ძირითად კანონში ძირითადი უფლების კოდიფიცირება, ხელს შეუწყობს პირის უფლებების დაცვას და იმავდროულად, საჯარო მმართველობის ეფექტურობას.⁹

3. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლისთვის დამახასიათებელი პრინციპები ადმინისტრაციულ ორგანოთა კონტროლისა და შეკავების ჩრილში

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სამართლის ყველა დარგის ძირითად პრინციპებს, რომელსაც ცალკეული ქვედარგები განამტკიცებენ და განავრცობენ იმგვარად, რომ ძირითადი პრინციპების არსი არ დაირღვეს, კონსტიტუციურად განმტკიცებული პრინციპები, შეიძლება ითქვას, ადმინისტრაციულ სამართალში გამორჩეულად დომინირებულია¹⁰.

ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, რომელიც უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს ქმნის ადმინისტრაციულ ორგანოთა და მოქალაქეთა ურთიერთობის ფარგლებში, ეყრდნობა ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, როგორებიცაა: დისპოზიციურობის პრინციპი, ინკვიზიციურობის პრინციპი, შეჯიბრებითობის პრინციპი, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, აგრეთვე მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პრინციპები, კერძოდ, პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპი და დისკრეციული უფლებამოსილების პრინციპი და ა.შ.¹¹

თითოეული ზემოაღნიშნული პრინციპი თან სდევს მთელს ადმინისტრაციულ პროცესს და სამართალწარმოებისას ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი და ფუნდამენტია, შესაბამისად, წინამდებარე სტატიის ფარგლებში უპირველესად მიმოვიხილავთ ძირითად პრინციპებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისას, მისი გამოვლენის თავისებურებებს, აგრეთვე ვისაუბრებთ მათ მნიშვნელობაზე ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე პირთა უფლებების ეფექტურად დაცვის თვალსაზრისით.

3.1. შეჯიბრებითობის პრინციპის როლი და ფარგლები სასამართლოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისას

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეებისათვის უფლებათა დაცვისა და განხორციელების ეფექტურ ბერკეტს ქმნის, შეჯიბრებითობის პრინციპია. რომლითაც თანაბრად არის აღჭურვილი მხარეები. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ საკუთარი მოთხოვნები,

⁸ ასოცირების შესახებ შეთანხმება „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს. სრულიად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.

⁹ ტურავა პ., ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბ., 2020, 9.
¹⁰ ცხადაძე ქ., კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისთვის, ადმინისტრაციული სამართალი, სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი, თბ., 2016, 5.

¹¹ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, 8.

განსაზღვრონ მოთხოვნის ფარგლები და საფუძვლები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მტკიცებულებები თუ დასაბუთებები.¹²

კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომ სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ. წინამდებარე დათქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოცემულ ქვეთავში მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპსა და მის არსზე ვისაუბროთ, ხოლო სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევა, სამეცნიერო ლიტერატურაში ინკვიზიციურობის პრინციპად დამკვიდრებული საფუძველი, ცალკე მიმოვიხილოთ.

შეჯიბრებითი პროცესის უფლება დამაკმაყოფილებელ პირობებში უნდა განხორციელდეს: სამართალწარმოების მხარეს უნდა ჰქონდეს სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა, ისევე, როგორც მის შინაარსსა და ავთენტურობასთან დაკავშირებით შესაბამისი ფორმით და გონივრული დროის განმავლობაში კომენტარის გაკეთების საშუალება საჭიროების შემთხვევაში საქმის გადადების მეშვეობით.¹³

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ადმინისტრაციულ პროცესში მოსამართლის ფართო უფლებამოსილებისა – მონაწილეობა მიიღოს მათ შორის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების მოკვლევისა თუ გამორკვევის ნაწილში, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით თავად გადაწყვიტონ მტკიცებულებების წარდგენის საკითხი. ამდენად, ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სახეზე გვაქვს ნების აბსოლუტურ ავტონომიასთან ერთად თანაბარი უფლებამოსილებითი მექანიზმი უფლებისა თუ გადაწყვეტილების დაცვის თვალსაზრისით.

სწორედ ნების აბსოლუტური ავტონომიისა და თანაბარი უფლებამოსილებათა მექანიზმის გამოყენების შეზღუდვასთან გვაქვს საქმე, როდესაც სასამართლო საკითხს განსახილველად აბრუნებს ადმინისტრაციულ ორგანოში, მაშინ როცა ადმინისტრაციული სამართალწარმოების მთელი „ხიბლი“ სწორედ შეჯიბრებითობასა და ამასთან, სასამართლოს აქტიურ როლში გამოიხატება. საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობისას, საქმის განხილვა გადაინაცვლებს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სადაც კვლავ ორ არათანაბარ საფეხურზე მდგომ სუბიექტებს შორის გრძელდება დავა, ერთის მხრივ მმართველობითი ძალის მქონე ორგანოსა და მეორეს მხრივ დაინტერესებულ პირთა შორის, სადაც შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის დაცვის სტანდარტი და მისი კონტროლის მექანიზმი სასამართლოს გართა და შესაბამისად არაეფექტურია.

შეჯიბრებითობის პრინციპის ეფექტური რეალიზება გულისხმობს, სასამართლომ აქტიური როლი ითამაშოს ბალანსის უზრუნველსაყოფად, ხოლო თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ საკითხი არასაკმარისად არის გამოკვლეული, საჭიროა დამატებითი მტკიცებულებების, გარემოებების გამორკვევა და განხილვა, ფართო უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია გადადოს სხდომა, დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი დოკუმენტების/მასალების წარმოდგენა და პროცესის ფარგლებში აწარმოოს დამატებითი კვლევა მხარეთა თანასწორი მონაწილეობით, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. სწორედ ამგვარი გადაწყვეტის ფარგლებში იქნება ქმედითი ხსენებული პრინციპი.

¹² კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ბ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, 23.

¹³ იხ. სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, 17 <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/konvenciis-me6-muxli.pdf>> [25.05.2025].

3.2. საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ – ინკვიზიციურობის ხარისხი – სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობისას

ინკვიზიციურობის პრინციპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი ტერმინოლოგიითაა დამკვიდრებული და გულისხმობს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლოს აქტიურ როლს სამართალწარმოებისას საქმის გარემოებების გამოკვლევის ნაწილში.

ადმინისტრაციული პროცესი გამოირჩევა ინკვიზიციური ბუნებით, რადგან საჯარო ნორმების დაცვაზეა ორიენტირებული და თუ კი მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დავის განხილვის პროცესში არ დააკმაყოფილებს სასამართლოს და მიიჩნევა, რომ არასაკმარისია საქმის გარემოებების ობიექტურად გამოკვლევისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, იგი საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოძიებასა და გამოკვლევას, აგრეთვე შესაძლებელია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეებს პროცესის მიმდინარეობისას არ წარუდგენიათ სასამართლოში.¹⁴

ადმინისტრაციულ დავათა ინკვიზიციური ბუნება თავისთავად არ გულისხმობს სასამართლო სისტემის განუსაზღვრელ უფლებამოსილებათა ფარგლებს ჩაერიოს ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში და მათ ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილებები, შესაბამისად აუცილებელია „ოქროს შუალედი“, რათა სასამართლო არ გადაიქცეს მმართველობის განმახორციელებელ სუბიექტად, რაც თავისთავად ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპის არსს დაარღვევს. „მართალია სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას.“- განმარტა უზენაესმა სასამართლომ.¹⁵

„ერთმანეთისაგან იმიჯნება სასამართლოსა და ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მმართველობითი ღონისძიების კონტროლის განხორციელების ფარგლები, რამდენადაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებულ და შემდგომში გასაჩივრებელ გადაწყვეტილებას ამოწმებს როგორც კანონიერების, ისევე მიზანშეწონილობის კუთხით, მაშინ, როდესაც სასამართლოს კონტროლი ამგვარი აქტების მიმართ შეზღუდულია და იგი მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებით შემოიფარგლება.“¹⁶

ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასამართლოში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაყენებას წინ უსწრებს ამ აქტის ერთჯერადი გასაჩივრების ვალდებულება (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევები-

¹⁴ ლეამიჩავა თ., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში (შედარებითი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017, 52.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-260(კ-24).

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-602-602(კ-18).

სა), შესაბამისად, ერთგვარი დამატებითი მექანიზმი და შესაძლებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს, გადახედოს და დამატებით შეისწავლოს საკითხი, როგორც კანონიერების, ასევე მიზანშეწონილობის კუთხით. შესაბამისად, ამგვარი მექანიზმის გამოყენების შემთხვევებში, კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება სასამართლოს გადანყვეტილება კიდევ ერთხელ დამატებითი კვლევის შესაძლებლობის მიცემით ადმინისტრაციული ორგანოსათვის.

სწორედ ინკვიზიციურობის პრინციპი ხდის განსაკუთრებულს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პროცესს და სძენს მას განსაკუთრებულ როლს, დაეხმაროს დაინტერესებულ პირს მასთან შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავისას. დახმარება, შესაძლებელია გამოიხატებოდეს, როგორც მოთხოვნის ფორმულირება/დაზუსტებაში, ასევე დამატებითი მტკიცებულებების, დოკუმენტებისა და მასალების სასამართლოს მოთხოვნით წარმოდგენაში. ცხადია ამგვარი დახმარება არამც და არამც არ გულისხმობს მხარისათვის სასამართლოს წინასწარ გაცხადებულ მხარდაჭერას და მის სასარგებლოდ გადანყვეტილების გამოტანის მოლოდინის შექმნას. შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს როლი გადამწყვეტია საქმეზე ობიექტური გადანყვეტილების მიხედვით.

ინკვიზიციურობის პრინციპზე უარის თქმად შეიძლება ჩაითვალოს, შესაბამისი დასაბუთების გარეშე გასაჩივრებული აქტის საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობა და განსახილველად ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნება, მაშინ, როცა სასამართლოს აქვს როგორც კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, ასევე სათანადო რესურსი დამატებითი კვლევა საკითხის ირგვლივ მხარეთა მონაწილეობით ჩაატაროს.

ვარგის საშუალებად საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა ვერ ჩაითვლება, პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მოტივით, რადგან დაინტერესებული პირის მიზანი არა მხოლოდ აქტის გაუქმებაში, არამედ საჭირო და სამართლიანი გადანყვეტილების მიღებაში, საბოლოო შედეგის დადგომაშია.

3.3. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის ბალანსი სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისას

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესში თავისებურად ვლინდება და გულისხმობს ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე პირთა თანასწორუფლებიანობას. თანასწორობის პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული დავების განხილვისას, ადმინისტრაციულ წარმოებისა თუ სამართალწარმოებისას, რამდენადაც მხარეებზე გვევლინება ორი არათანაბარ საფეხურზე მყოფი სუბიექტი, სადაც მნიშვნელოვანია თანასწორობა იმგვარად იქნას დაცული, რომ ერთი მხრივ საჯარო ინტერესის დაცვა მოხდეს, ხოლო მეორე მხრივ, კერძო და საჯარო ინტერესთა გონივრული ბალანსი შედგეს.¹⁷

ადმინისტრაციული სამართალწარმოება და მართლმსაჯულება – სწორედ ის მძლავრი ინსტიტუტებია, რომელთა მეშვეობითაც თანასწორუფლებიანობა უნდა იქნეს უზრუნველყო-

¹⁷ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, 29.

ფილი, განსაკუთრებით საჯარო მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებისას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები გაცილებით მეტი შესაძლებლობებით გამოირჩევიან ღონისძიების ადრესატებთან შედარებით. ეს თანაბრად ეხება როგორც აღმჭურველ, ასევე ამკრძალავ ღონისძიებებს, სადაც დაინტერესებულ პირთა უფლებების რეალიზება უმნიშვნელოვანეს მხარდაჭერას საჭიროებს, პირველ რიგში საკანონმდებლო მოწესრიგებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანასწორობა საჯარო მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას.

ადმინისტრაციულ ორგანოთათვის საქმის გამოკლვევის დამატებითი შესაძლებლობის მიცემა, სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობისას, იმ მოწესრიგების პირობებში, როდესაც შესაძლებელია ადმინისტრაციულმა ორგანომ იგივე გადაწყვეტილება მიიღოს, გამოიკვლიოს ფორმალურად და არა რეალურად, არღვევს თანასწორობის პრინციპს, მაშინ როდესაც შესაძლებელია თავად სასამართლომ უზრუნველყოს დავალების გზით პროცესის ფარგლებში მტკიცებულებების წარმოდგენა და მხარეთა თანასწორ მდგომარეობაში განხილვა.

ამასთან, არსებული ნორმის ბუნდოვანება, არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების რისკს ქმნის, რაც ქვემოთ დეტალურადაა განხილული სასამართლო პრაქტიკის ნაწილში.

3.4. სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურობის ხარისხი და მისი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობისას

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, შეიცავდა საყოველთაო პრინციპით განმტკიცებულ და ინდივიდუალურ კონტექსტში მოაზრებულ ადამიანის ძირითად უფლებებს.¹⁸ სხვა უმნიშვნელოვანეს უფლებებთან ერთად დეკლარაციამ საყოველთაოდ მნიშვნელოვან უფლებად მე-8 მუხლის სახით განსაზღვრა, რომ ყველა პირს, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისაგან.¹⁹

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განმტკიცებული ფუნდამენტური უფლება ზედმიწევნით და მისი უმაღლესი დაცვის სტანდარტითაა ასახული ქვეყნის უმაღლესი კანონში. როგორც საერთაშორისო აქტებში, ასევე შიდასახელმწიფო დანაწესებში, ხაზგასმია არა მხოლოდ სამართლიან განხილვაზე, არამედ გონივრულ ვადებში საქმის განხილვა/გადაწყვეტაზე.

კონსტიტუციურ რანგში განსაზღვრული ფუნდამენტური საპროცესო უფლების მნიშვნელობაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, სადაც დეკლარირებულია, რომ ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლე-

¹⁸ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 60 წლისთავი (სპეციალური გამოცემა 1948- 2008) გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის საქართველოს ოფისი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი, საქართველო, თბ., მაისი, 2008, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [25.05.2025].

¹⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1948 წლის 10 დეკემბერი.

ბებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.²⁰

საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ აღნიშნულ უფლებას „ინსტრუმენტულ უფლებად“ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ იგი უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვადას.²¹

კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არც იქნება უფლების დაცვის უფრო ეფექტიანი საშუალება, ვიდრე არის უფლების დაცვის სასამართლო საშუალება.²²

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რადგან სამართლიანი სასამართლოს უფლება ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების ეფექტურ რეალიზაციას და პირს იცავს უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისგან.²³

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც ხელს უწყობს სასამართლო პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფას. შემდეგი გარანტიები ვრცელდება ყველა სახის სამართალწარმოებაზე:

- საჯარო მოსმენა;
- განხილვა გონივრულ ვადაში;
- ადვოკატთან წვდომა ან საკუთარი თავის წარმომადგენლობის შესაძლებლობა;
- დასაბუთებული გადაწყვეტილება.²⁴

ამდენად, დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს უფლება დემოკრატიის ფუნდამენტად არის მიჩნეული, რაც თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს, არამედ იგი გასდევს მთელს პროცესს და მოითხოვს სამართლიან პროცედურულ გარანტიებს.

სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უნდა განვიხილოთ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის მექანიზმთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, აღნიშნული მექანიზმის გამოყენებაც თავისი არსით სამართალწარმოებაა და მიემართება ყველა ქვეთავში განვითარებული მსჯელობა, მაგრამ სასამართლოს მიერ აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის განხილვისას გამოყენებული, ხსენებული მექანიზმი

²⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია. საქართველოს მიერ რატიფიცირება მოხდა 1994 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1999 წელს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ [25.05.2025].

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება #1/2/434, საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²² ქურდაძე შ., გამარტივებული წარმოების არსი სამოქალაქო პროცესში, ჟურნალი, „სამართალი“, #7-8, 2002, 29.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/403, 427 კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²⁴ <<https://www.humanrightsguide.ge/rights/samartliani-sasamartlos-upleba>> [25.05.2025].

განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ნაწილში.

სამართალწარმოების მონაწილე მხარეებს, უნდა ჰქონდეთ უფლება არა მხოლოდ იმისა, რომ წარადგინონ მოკვლეული მასალები, მტკიცებულებები და დასკვნები, არამედ – მათი საქმე განხილული იქნას სასამართლოს მიერ. სწორედ ეს იქნება ხსენებული უფლების ეფექტურად დაცვა. უფლების – საქმე განხილვის სასამართლომ, დაცვის სისუსტე, სწორედ საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობისას ვლინდება, სასამართლოს აქვს „ვალდებულება“ დეტალურად შეისწავლოს წარდგენილი მტკიცებულებები, არგუმენტები თუ დოკუმენტები, მისი სისრულე და საკმარისობა, ხოლო თუ ჩათვლის, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა სხვა ინფორმაცია, მასალა, მტკიცებულება, გამოითხოვოს, დაავალოს მმართველობითი ფუნქციის ორგანოს წარდგენა და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელოს განხილვა.

აღნიშნული უფლების ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ინკვიზიციურობის პრინციპთან ერთობლიობა გვაძლევს მოცემულობას, რომ სასამართლოს როლი უფლების ეფექტურად განხორციელებაში განსაკუთრებულია. საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლება და ვალდებულება აქვს, არა მხოლოდ დაეყრდნოს წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და დოკუმენტებს, არამედ – თავად ჩაერთოს აქტიურად, გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები და დოკუმენტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანასწორუფლებიანობა, განონასწორების მიზნებიდან გამომდინარე და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. სასამართლოს აქტიური როლი და პოზიტიური ჩარევა გამოიხატება, არა საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობაში და დამატებითი კვლევისათვის ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაბრუნებაში, არამედ მისი კონტროლის უფლების აქტიურად გამოყენებაში სამართალწარმოების ფარგლებში.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული მექანიზმი საკითხის კვლევის მიზნით საქმის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნებისა, არსებული ფორმით და შინაარსით ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურად დაცვას – საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დროში არაგონივრულად ჭიანჭურდება, ასევე ვერ რეალიზდება არაერთი უნიშვნელოვანესი პრინციპი, მათ შორის შეჯიბრებითობა, ინკვიზიციურობა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურ დაცვასთან.

4. სასამართლო პრაქტიკა

სასკ-ის 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილი აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკის მიხედვით გამოიყენება, მაშინ როცა სასამართლო წესით კონკრეტული გარემოებები ვერ დგინდება და მხარეს აქვს გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.²⁵

უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 13 დეკემბერს მიღებული #ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებასთან დაკავშირებით, რომლითაც საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული აქტი ბათილად ცნო, დაადგინა რა რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები მოპასუხის(ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ სათანადოდ არ იყო გა-

²⁵ უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-681-681(კ-18).

მოკვლეული და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდგომ ახალი აქტის გამოცემა, არ არის დასაბუთებული. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისთვის სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა და სათანადო გადაწყვეტილება მიეღო, პირველი ინსტაციის სასამართლოსთან ერთად ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს.²⁶

საკასაციო სასამართლო წინამდებარე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნავს, რომ ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკვლეულია სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, როდესაც საქმეში არსებული მასალები საკმარისია შესაბამისი დასკვნის გამოტანისთვის და დავის გადაწყვეტისათვის. ასევე სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოებები დაადგინა და სწორედ ამას დააფუძნა მიღებული გადაწყვეტილება, ასევე საქმის გადასაწყვეტად არ იყო საჭირო ისეთი გარემოებების დადგენა, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო, მისთვის კანონის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე და არც დისკრეციის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რაც გაამართლებდა საკითხის დამატებითი კვლევისთვის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნებას.

მოცემულ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა დაინტერესებული პირის უფლების და კანონიერი ინტერესის ეფექტური დაცვის ჭრილში, რამდენადაც საკასაციო სასამართლომ შეძლო მხარეთა მიერ წარდგენილი მასალების ანალიზისა და გამოკვლევის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. შეიძლება ითქვას, რომ ქვედა ინსტაციების სასამართლოების მხრიდან სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის კომპონენტები სწორად არ იქნა გაგებული, შემდეგ გარემოებათა გამო: დაინტერესებული მხარის კანონიერი ინტერესის კომპონენტი მიღებულ გადაწყვეტილებაში არ ჩანს, რამეთუ მისი სურვილი იყო აქტის ბათილად ცნობა და გონივრულ ვადებში შედეგის დადგომა, რაც მოცემულ შემთხვევაში რეალიზებული ვერ გახდა, როგორც ვადის, ასევე ინტერესის ნაწილში, ხოლო ვადა გახანგრძლივდა და შესაბამისად, პირის ინტერესის დაკმაყოფილების საკითხმა გადაინია. ამასთან, არსადაა გარანტია იმისა, რომ მხარე დაკმაყოფილდება. შესაბამისად, მოცემულ საქმეში, რომ არა საკასაციო სასამართლოს გონივრული და სამართლებრივად გამართლებული „ჩარევა“, დაინტერესებულ პირს ექნებოდა მოლოდინი, ერთის მხრივ, რომ შესაძლოა მისი მოთხოვნა ახალი აქტის პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკმაყოფილებინა, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა ინტერესი დაეკარგა დავას, რადგან არაგონივრულ ვადებთან და ძალისხმევასთან დაეკავშირებინა იმავე ადმინისტრაციული ორგანოს ფარგლებში განხილვის გადატანა.

მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საკასაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ პროცესში ინკვიზიციურობის პრინციპთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ სასამართლო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა სრულყოფილად გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს გარემოებათა დადგენის საჭიროება და მოიძიოს ამ გარემოებათა დამადასტურებელი ან უარმყოფი მტკიცებულებები.²⁷

²⁶ უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-681-681(კ-18).

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე #ბს-546(კ-23).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას პროცესუალურ წინაპირობის დაცვის აუცილებლობას გაუსვა ხაზი საკასაციო სასამართლოს მსჯელობისას და აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად საქმის დაბრუნება ადმინისტრაციული ორგანოსთვის და ახალი აქტის გამოცემის დავალება უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებების შესახებ, რაც უნდა გამოიკვლიოს ადმინისტრაციულმა ორგანომ. ამასთან, მოხმობილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ გარემოებები, რომლებიც მიიჩნია სასამართლომ გამოუკვლევლად უნდა იყოს არსებითი და ახდენდეს გავლენას ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე.²⁸

„ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა.“²⁹

ადმინისტრაციული ორგანოსთვის საქმის დამატებითი განხილვისთვის დაბრუნებისას სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს იმ ფაქტ(ებ)ს, რომ თავად რესურსი და შესაძლებლობა არ აქვს დამატებითი კვლევის ჩატარებისთვის, რითაც ერთგვარად მისი აქტიური როლის შეუძლებლობა უნდა დაასაბუთოს. საკასაციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ სადავო აქტის განსახილველად დაბრუნება ადმინისტრაციული ორგანოსთვის იმ მოტივით, რომ არქივიდან ცნობებია გამოსათხოვი და ასევე, ექსპერტის მოსაზრება/დასკვნაა საჭირო, არ არის დასაბუთებული და მოშველიებული გარემოებები არ ქმნის ამგვარი გადაწყვეტილების მყარ საფუძველს.³⁰

ამასთანავე, სასამართლოს გადაწყვეტილება უკან დააბრუნოს ადმინისტრაციულ ორგანოში საქმე განსახილველად შესაძლებელია განპირობებული იყოს უფლებამოსლებათა დისკრეციული ხასიათით. ასეთ შემთხვევებში სასამართლო კვლავ აძლევს საშუალებას ადმინისტრაციულ ორგანოს მიღებულ გადაწყვეტილებას დისკრეციულობის ფარგლებში გადახედოს და გამოსცეს ახალი აქტი. კვლევის ფარგლებში განხილული გადაწყვეტილებების/განჩინებების ანალიზიდან იკვეთება³¹, რომ როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება არ ეფუძნება სწორ და

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 18 სექტემბრის განჩინება, საქმე # ბს-466(კ-22).

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-246-243(კ-14).

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის განჩინება, საქმე #ბს-883(კ-20).

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 18 მარტის განჩინება, საქმე #ბს-1240(კ-23).

სრულყოფილ შეფასებას, სადავო აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემა ერთგვარი საშუალების მიცემაა აქტის გამომცემი ორგანოსთვის, გადახედოს გადაწყვეტილებას, რაც ჩვენი მოსაზრებით ემსახურება სასამართლოს მიერ კონტროლის გრძელვადიანი და ეფექტური გავლენის განხორციელებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გაანალიზონ გადაწყვეტილებები, დისკრეციის ფარგლები, შინაარსი და ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება, აგრეთვე დახვეწონ პრაქტიკა და მიდგომები.

საკასაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილებათა დისკრეციული ხასიათი ცალსახად პირდაპირ საფუძვლად აქტის ბათილად ცნობისა და საქმის ადმინისტრაციული ორგანოსთვის დამატებითი განხილვისთვის დაბრუნების საფუძვლად არ მიიჩნია. სასამართლოს განმარტებით-„სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევის აუცილებლობა არსებობს, როდესაც აშკარაა პირის კონსტიტუციით დაცული უფლებების დარღვევა ან არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებული ვარაუდი“.³² ამდენად, თავად დისკრეციული ხასიათის უფლება არ წარმოშობს დაუსაბუთებლად გადაწყვეტილების მიღების საფუძველს და ყოველ ჯერზე სასამართლომ უნდა შეაფასოს ჩარევის აუცილებლობის საკითხი და მხოლოდ ამის დისკრეციულშემდეგ გადაწყვეტოს დაუბრუნოს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმე განსახილველად თუ თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ, ადმინისტრაციული წესით საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ინკვიზიციურობის/ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით საქმის გარემოებების დამატებით გამოკვლევა საკუთარი ინიციატივით, მტკიცებულებათა შეგროვება და ანალიზი, აუცილებელ პირობად მიიჩნია ქვეყანაში არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში და აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ კანონიერი გადაწყვეტილების მიღების, სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ვერ იქნას მიღწეული ხსენებული პრინციპის ეფექტურად გამოყენების გარეშე.³³

სასამართლოს უფლებამოსილება – თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – მხარეთა თანასწორობას, ანუ – მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას – დაიცვან თავიანთი უფლებები საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე- განმარტა საკასაციო სასამართლომ.³⁴

5. უფლების დაცვის პრევენციული საშუალება და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შედარება უფლების დაცვის ეფექტურობის ნაწილში

საქართველოს კონსტიტუციით³⁵ უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება. სამართლიანი სასამარ-

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე #ბს-1182-1176(2კ-17).

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-303-299(კ-14).

³⁴ იქვე.

³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, 24/08/1995.

თლოს უფლებამ, ასევე უნდა უზრუნველყოს ადამიანის სრულყოფილი სამართლიანი დაცვა, ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა.³⁶

ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი ქმნის არა მხოლოდ უფლებების დაცვის რეპრესიულ საშუალებებს, არამედ აყალიბებს და განამტკიცებს უფლებების დაცვის პრევენციულ საშუალებებს, რომლებიც რიგ შემთხვევებში გაცილებით უკეთ მოქმედებს, ვიდრე რეპრესიული საშუალებები, როგორც დროში წინმსწრები დაცვის ეფექტურობით, ასევე დამდგარი/მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრის და თავიდან არიდების თვალსაზრისით.

განსხვავებით სამოქალაქო სამართლებრივი სამართალწარმოებისგან, ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალების არსებობა. აღნიშნულის მეშვეობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება. კერძოდ, გასაჩივრების შემდგომ, საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ან სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

უფლების დაცვის დროებითი საშუალებები უზრუნველყოფს განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას ან იმგვარად შეცვლას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას აღსრულებადს გახდის.³⁷

უფლების დაცვის დროებითი საშუალების სახეები პირდაპირ დაკავშირებულია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სარჩელის სახეებთან. აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის შემთხვევებში გამოიყენება 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი დაცვის საშუალება, ხოლო – სასკ-ის 23-ე და 24-ე მუხლებით განსაზღვრული სარჩელებისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინების ინსტიტუტი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის მექანიზმის რეგულირებას ახდენს 29-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც აქტის მოქმედება გასაჩივრების მიუხედავად არ ჩერდება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლების დაცვის დროებით საშუალებას, რომელსაც 31-ე მუხლი განამტკიცებს, მისი გამოყენება მხარეს შეუძლია სარჩელის აღძვრამდე. კერძოდ სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვის გზით. იგი არ არის უფლების დაცვის ძირითადი საშუალების ავტომატური შედეგი, სამართალწარმოება მხარის განცხადების საფუძველზე ხორციელდება.³⁸

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის განჩინება, #ბს-1389(კს-19)

³⁷ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, 335.

³⁸ იქვე, 339-340.

შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული დროებით დაცვის საშუალებები მყარ საფუძველს და შესაძლებლობას ქმნიან, დროებით გადაწყვეტილების მიღებამდე, დაიცვან/შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა მხარის ინტერესებიდან გამომდინარე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია ეფექტურობის თვალსაზრისით შევადაროთ სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების გამოყენება და მოსამართლის მიერ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობა და საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდგომ ახალი აქტის გამოცემის ადმინისტრაციული ორგანოსთვის დავალება.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ რა თქმა უნდა, მითითებული ნორმებით მოწესრიგებული საპროცესო ურთიერთობა განსხვავებულია და არსებითად სხვადასხვა ინსტიტუტს წარმოადგენს, მაგრამ კვლევის მიზნებისათვის შედარება მნიშვნელოვანია, მათი საერთო ასპექტის – მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესის დაცვისა და განხორციელების თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღინიშნა, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესის არსებობაა. უნდა ვიმსჯელოთ თავად მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესის რეალურ შინაარსზე, რაც რა თქმა უნდა მისი საუკეთესო შინაარსით უნდა იქნეს გაგებული მხარის სასარგებლოდ, ვინაიდან აღნიშნული მექანიზმის გამოყენებისას უნდა დასაბუთდეს, რომ ეს ნამდვილად მხარის ინტერესებს ემსახურება და ამასთან, ეს ინტერესის დაცვა გადაუდებელი აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული.

არსებითად იგივე მიზანს ემსახურება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი დაცვის საშუალებების გამოყენება, შესაბამისად არსებითი განხილვის შეწყვეტა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, შესაბამისი მსჯელობის გარეშე შეიძლებოდა თუ არა იგივე სიკეთის შენარჩუნება დროებითი დაცვის საშუალებების გამოყენებით და არსებითი განხილვის გაგრძელებით, არ ემსახურება პირის ინტერესს. მოცემულ შემთხვევებში დავის განხილვა სასამართლო წესით წყდება და ხელახალი განხილვისთვის ინაცვლებს ადმინისტრაციულ ორგანოში. გარდა იმისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული ვადა არ ეთითება გადაწყვეტილების მიღებისათვის, შესაძლებელია მხარისთვის კვლავ დადგეს საჭიროება მიმართოს სასამართლოს იგივე საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის იმ გარემოებებთან დაკავშირებითაც, რაც კვლავ არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მაშინ, როცა შესაძლებელია გადაუდებელი ინტერესი დაკმაყოფილდეს 29-ე და 31-ე მუხლების საფუძველზე გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებით ან დროებითი განჩინების მიღებით.

სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ გარემოებათა კუმულატიური ერთობლიობით, რომლებიც მითითებულია 32-ე მუხლი მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, სახეზე უნდა გვქონდეს არასაკმარისად ან საერთოდ გამოუკვლეველი გარემოებები და უნდა არსებობდეს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

გადაუდებელ კანონიერ ინტერესს პირდაპირ ეხმიანება 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი დაცვის საშუალების გამოყენება, როდესაც გასაჩივრებული აქტი პირდაპირ მოთხოვნის გარეშე ჩერდება, ხოლო გამონაკლისების შემთხვევაში მხარის მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, პირის კანონიერი ინტერესის დაცვის ეფექტურობას საფრთხე ამ ორი ნორმის შეჯერების და სწორად გამოყენების შემთხვევაში არ ემუქრება.

6. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცულ სფეროს სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს, იგი ქმნის მყარ გარანტიას, რომ ადამიანის უფლება, მიმართოს სასამართლოს, დაცულია კონსტიტუციურ რანგში. ასევე უზრუნველყოფილია ამავე მუხლით სამართლიანი და დროული განხილვის უფლება. შესაბამისად, იგი მნიშვნელოვანია, როგორც სამართლიანი, ასევე – დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლებების უგულვლყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვა აკრძალული (შეზღუდულია).³⁹

სამსჯელოა, არ მხოლოდ ის, თუ ზოგადად რამდენად მიზანშეწონილია 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, არამედ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, რამდენად მაღალი სტანდარტით საბუთდება მისი გამოყენება სასამართლოს მიერ, რამდენად ეფექტურია და ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, დაცულ იქნას დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესი.

სტატიის ფარგლებში მიმოხილული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც საქმე განსახილველად დაუბრუნდა ადმინისტრაციულ ორგანოებს, უმრავლეს შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს – გონივრულ ვადებში საქმის განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ნაწილში, აგრეთვე საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების სხდომაზე გამოკვლევის კომპონენტს. მოხმობილი საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ მთავარი პრობლემა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას არის დასაბუთების დაბალი სტანდარტი, თუ რატომ ვერ შეძლო შესაბამისი ინსტანციის სასამართლომ თავად გამოკვლია საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები, აქტიურად ჩართულიყო პროცესში და ამგვარად მიეღო გადაწყვეტილება, იმის გათვალისწინებით, რომ ინკვიზიციურობის პრინციპი ფართო უფლებამოსილებით აღჭურავს საქმის განხილველ მოსამართლეს.

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, პირის კანონიერი ინტერესის არსებობის დასაბუთება, რამდენადაც მის გარეშე 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება დაუშვებელია, როგორც წესი, სასამართლო საერთო პრინციპიდან გამომდინარე მსჯელობს, რომ აქტის ბათილად ცნობა თავისთავად დაინტერესებული პირის (საჩივრის ავტორის) ინტერესებს ეხმიანება, მაგრამ არსებითად სხვაობაა აქტის ბათილად ცნობასა და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შორის, როდესაც კვლავ ადმინისტრაციულ ორგანოზეა დამოკიდებული ხელახალი მოწესრიგების პირობებში რა გადაწყვეტილებას და რა ვადაში მიიღებს.

კანონიერი ინტერესის ნაწილში შესაძლოა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას და სასამართლოს მისი გამოყენების აქტიურ საშუალებას აძლევდეს, მაშინ, როცა დროებითი დაცვის საშუალებით პირის კანონიერი ინტერესის დაცვა/შენარჩუნე-

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ბა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ცალსახად შესაძლებელია (თეორიული საფუძვლები).

ამდენად, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსი იმგვარად, რომ მისი გამოყენება მხოლოდ იმ გარემოებათა შემთხვევაში მოხდეს, როდესაც 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი დაცვის საშუალება ვერ უზრუნველყოფს პირის კანონიერი ინტერესის დაცვას და ამასთან სახეზე გვაქვს ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციული უფლებამოსილება, რის გამოც მნიშვნელოვანია საკითხის ირგვლივ დამატებითმა კვლევამ გადაინაცვლოს ადმინისტრაციულ ორგანოში.

შეჯამების სახით, საკანონმდებლო ჩარჩოს, განხილული სამართლებრივი მექანიზმის დახვეწისა და დაზუსტების შემთხვევაში, ერთის მხრივ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოებისთვის გამარტივდება გადაწყვეტილების მიღება, რაც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ, დაინტერესებულ პირთა უფლებების დაცვის მექანიზმები ეფექტური და მოქნილი გახდება, რეალიზდება ყველა ის პრინციპი, რომელიც ამ უფლების დაცვის გარანტორია. წინამდებარე კი განაპირობებს სასამართლო სისტემისადმი ნდობის განმტკიცებასა და გაღრმავებას.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950.
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1948 წლის 10 დეკემბერი.
4. საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23/07/1999.
5. საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.
6. ასოცირების შესახებ შეთანხმება „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს. სრულიად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.
7. გვარამაძე თ., სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება და ევროპული სტანდარტები, სტატიათა კრებული, სამართლის ჟურნალი #2, თბ., 2023.
8. კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018.
9. კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008.
10. ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2002.
11. ტურავა პ., ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბ., 2020.
12. ქურდაძე შ., გამარტივებული წარმოების არსი სამოქალაქო პროცესში, ჟურნალი „სამართალი“, #7-8, 2002.
13. ღვამიჩავა თ., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017.
14. ცხადაძე ქ., კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისთვის, ადმინისტრაციული სამართალი, სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი, თბ., 2016.
15. სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebat-centri/konvenciis-me6-muxli.pdf>> [25.05.2025].

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-260(კ-24).
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე #ბს-546(კ-23).
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 18 მარტის განჩინება, საქმე #ბს-1240(კ-23).
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-303-299(კ-14).
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 18 სექტემბრის განჩინება, საქმე #ბს-466(კ-22).
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის განჩინება, საქმე #ბს-883(2კ-20).
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის განჩინება, საქმე #ბს-1389(კს-19).
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-602-602(2კ-18).
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე #ბს-1182-1176(2კ-17).
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-681-681(კ-18).
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ბს-246-243(კ-14).
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, #1/2/434, საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება, საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, #1/1/403,427 კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
30. <<https://www.humanrightsguide.ge/rights/samartliani-sasamartlos-upleba>> [25.05.2025].